ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი №4

ქ. თბილისი, 18 თებერვალი, 2026 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.
ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი
სხდომას ესწრებოდა 29 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. *სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დღის გამოცხადებისა და დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველთათვის განცხადების წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ;*

   /ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

2. *დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ;*

   /ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

3. *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ანი ოთარაშვილის განცხადება სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ;*

   /ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

4. *მიმდინარე საკითხები;*

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 29
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 18 თებერვლის №4 სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. გ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინაშე აყენებს საკითხს სსიპ - ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დღის გამოცხადებისა და დეკანის თანამდებობის დასაკავებლად განცხადების წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ;

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა პროფესორმა ა. სილაგაძემ. მან ხაზი გაუსვა ფაკულტეტის ერთიან პოზიციას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და გამოხატა მადლიერება ფაკულტეტის დეკანისა და საბჭოს წევრების მიმართ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 დეკემბრის №135/2013 დადგენილების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო აცხადებს:

1. ***გამოცხადდეს*** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტის) დეკანის არჩევნები;

2. ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდეს: ***2026 წლის 2 აპრილს, 12:00 საათიდან 15:00 საათამდე;***

3. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველ პირთა განცხადებების მიღება მოხდეს ***2026 წლის 23 მარტიდან 2026 წლის 25 მარტის ჩათვლით (10:00 საათიდან 17:00 საათამდე)*** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში, მისამართი: ქ. თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქუჩა №2, თსუ X კორპუსი, ოთახი №310. ხოლო 25 და 26 მარტი განისაზღვროს შეხვედრებისთვის;

4. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

4.1. განცხადება ფაკულტეტის საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველი პირის სახელი და

გვარი (ვინაობა), საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სასურველი თანამდებობის ზუსტი დასახელება;

4.2. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) ორი ფოტოსურათი (3X4);

დ) ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია (არაუმეტეს 5 გვერდი);

ე) ცნობა სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ვ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;

4.3. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი წინამდებარე განცხადების მე-3 მუხლში დადგენილ ვადაში ფაკულტეტის კანცელარიაში სრულყოფილად წარმოადგენს ამავე განცხადების 4.1 და 4.2 პუნქტებში მითითებულ დოკუმენტაციას;

5. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები წესრიგდება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 დეკემბრის №135/2013 დადგენილებით.

მოისმინეს: **2.** დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა **მ. ლობჟანიძემ** საბჭოს წევრებს გააცნო და დასამტკიცებლად წარუდგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომების თემები და ხელმძღვანელები:

1. გიორგი ხმელიძე - „საოჯახო მეურნეობებში დასაქმებული ქალების ეკონომიკური ხილვადობის გამოწვევები და გადაჭრის გზები“ . სამეცნიერო ხელმძღვანელი: ***ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია***

2. ნინო ჭანია - "სასტუმრო ინდუსტრიაში განახლებადი ენერგიის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების პერსპექტივები (საქართველოს მაგალითზე)" . სამეცნიერო ხელმძღვანელი: ***პროფესორი იოსებ ხელაშვილი;***

3. გვანცა სივსივაძე - "წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების პოლიტიკა საქართველოში“ . სამეცნიერო ხელმძღვანელი: ***ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი;***

4. შოთა გეთია - „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის რისკები საქართველოში“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: ***პროფესორი დავით ნარმანია;***

5. სოფიკო წულუკიძე - " საგადასახადო პოლიტიკის მოდელების შედარებითი ანალიზი პოსტკომუნისტური გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში". სამეცნიერო ხელმძღვანელი: ***პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი;***

6. ჯილდა აბაშიძე - „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო ვაჭრობა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე;*

7. ნანა ღვალაძე - „გარე აუდიტის საქმიანობის მონიტორინგი: საერთაშორისო მიდგომები და ეროვნული პრაქტიკა“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: *პროფესორი ლევან საბაური;*

8. გიორგი კოხრეიძე - „მცირე ღია ეკონომიკაში მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების ჰიბრიდული მეთოდები (საქართველოს მაგალითზე)“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: *პროფესორი იური ანანიაშვილი;*

9. ირაკლი გაზდელიანი - "ციფრული მეწარმეობის სტრატეგიული განვითარების პროგნოზირება საქართველოში"

ამ საკითხთან აზრი დაკავშირებით გამოთქვა პროფესორებმა გ. ღაღანიძემ, ე. მექვაბიშვილმა, ს. გელაშვილმა, რ. გველესიანმა, ი. კოვზანაძემ.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს** დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. ნინო ჭანია - "სასტუმრო ინდუსტრიაში განახლებადი ენერგიის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების პერსპექტივები (საქართველოს მაგალითზე)" . სამეცნიერო ხელმძღვანელი: *პროფესორი იოსებ ხელაშვილი;*

2. გვანცა სივსივაძე - "წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების პოლიტიკა საქართველოში" . სამეცნიერო ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი;*

3. შოთა გეთია - „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის რისკები საქართველოში“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: *პროფესორი დავით ნარმანია*

4. სოფიკო წულუკიძე - " საგადასახადო პოლიტიკის მოდელების შედარებითი ანალიზი პოსტკომუნისტური გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში". სამეცნიერო ხელმძღვანელი: *პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი*

5. ჯილდა აბაშიძე - „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო ვაჭრობა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე*

6. ნანა ღვალაძე - „გარე აუდიტის საქმიანობის მონიტორინგი: საერთაშორისო მიდგომები და ეროვნული პრაქტიკა“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: *პროფესორი ლევან საბაური*

7. გიორგი კოხრეიძე - „მცირე ღია ეკონომიკაში მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების ჰიბრიდული მეთოდები (საქართველოს მაგალითზე)“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: *პროფესორი იური ანანიაშვილი*

8. ირაკლი გაზდელიანი - "ციფრული მეწარმეობის სტრატეგიული განვითარების პროგნოზირება საქართველოში"

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის ინფორმაციით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსულია ***დოქტორანტ ანი ოთარაშვილის*** განცხადება, რომელშიც იგი ითხოვს შეღავათებს სწავლის საფასურთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ა. ოთარაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელია და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დადგენილების თანახმად შესაძლებელია მას გაუნახევრდეს სწავლის საფასური. შესაბამისად, ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა ა. ოთარაშვილს, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელს გაუნახევრდეს სწავლის საფასური.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.
გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 29**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: **დოქტორანტ ანი ოთარაშვილს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დადგენილების შესაბამისად, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელს, გაუნახევრდეს დოქტორანტურაში სწავლის საფასური.

მიმდინარე საკითხები:

ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა გ. ღაღანიძემ ისაუბრა 2026-2027 აკადემიური წლისათვის განსაზღვრული კვოტების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი საკითხი საჭიროებს სრულყოფას. განათლების რეფორმის ფარგლებში შეხვედრების მსვლელობისას მის მიერ დაისვა საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას და იმედი გამოთქვა, რომ რიგ საკითხებზე (როგორიცაა მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის რაოდენობა, კვოტები მოდულების მიხედვით) მსჯელობა გაგრძელდება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი **გ. ღაღანიძე**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი **ლ. თოთლაძე**